საქმე №330350020003841495
საქმე №3/4997-20

6185920389577
www.ecd.court.ge

ბრძანება
საქართველოს სახელით

12 აგვისტო, 2020 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - ლეილა გოგიშვილი

განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

შუამდგომლობის ავტორი - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მოთხოვნა - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 2127 (2013) რეზოლუციის შესაბამისად მოქმედი „ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის" სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ ფიზიკურ პირთა სიაში დამატებული ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის დადება

გამოარკვია:

2020 წლის 11 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარმოდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის შუამდგომლობა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21^{30}-ე მუხლის, ,,ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 დეკემბრის N487 დადგენილებით განსაზღვრული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის დებულების მე-4 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 2127 (2013) რეზოლუციის შესაბამისად მოქმედი „ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის" სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ ფიზიკურ პირთა სიაში დამატებული 1 ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის დადების თხოვნაზე.

სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს ქვემდებარე მოსაზრებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII^{B} თავით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალწარმოება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების

VII თავის საფუძველზე მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად სანქციადაკისრებული პირის ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[30]-ე მუხლის თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომ – გაერო) წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად, რომელთა მიზანია ტერორიზმის დაფინანსების ან/და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე ბრძანებას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის (შემდგომ – სამთავრობო კომისია) შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[31]-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გაეროს უშიშროების საბჭოს №1373 (2001) რეზოლუციის მოთხოვნების შესაბამისად ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული, ყადაღადასადები ქონების შესახებ მონაცემები მათი არსებობის შემთხვევაში.

ამავე კოდექსის 21[32]-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლე ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობას დაუყოვნებლივ, ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად მოსამართლე ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას არაუგვიანეს 3 დღისა, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული პირისთვის შეუტყობინებლად. 3. მოსამართლე ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობის განხილვისას ითვალისწინებს ყადაღისადმი დაქვემდებარებულ ქონებაზე კეთილსინდისიერ მესამე პირთა უფლებებს. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მოსამართლე გამოსცემს სამთავრობო კომისიის შუამდგომლობით განსაზღვრულ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე ბრძანებას, თუ დაასკვნის, რომ სამთავრობო კომისიის შუამდგომლობაში მითითებული პირი აკმაყოფილებს გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციით განსაზღვრულ სათანადო პირობებს. ამავე მუხლის მე-7 ნაწილის გათვალისწინებით, ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე მოსამართლის ბრძანება დგება სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი რჩება სასამართლოში, მეორე ეგზავნება სამთავრობო კომისიას, ხოლო მესამე – შუამდგომლობაში მითითებულ პირს. თუ ამ ბრძანების ეგზემპლარის აღნიშნული პირისთვის გადაცემა ვერ ხერხდება, ბრძანება ქვეყნდება საჯაროდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და მხარისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯაროდ გამოქვეყნებიდან შესამე დღეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[33]-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის

გამოცემისთანავე და მისი გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების მოქმედებას. ამავე მუხლის მეორე ნაწილის გათვალისწინებით ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გაუქმების შესახებ საჩივარი შეიტანება ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარისათვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში, ხოლო თუ მისი გადაცემა ვერ ხერხდება ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში, მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მასალების და აღნიშნულ ნორმათა გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს - ყადაღა უნდა დაედოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 2127 (2013) რეზოლუციის შესაბამისად მოქმედი „ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის" სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ ფიზიკურ პირთა სიაში დამატებული 1 ფიზიკური პირის ქონებას.

სასამართლო დამატებით მიუთითებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმადაც თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21^{30}, 21^{31}, 21^{32}, 21^{33} მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. დაედოს ყადაღა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 2127 (2013) რეზოლუციის შესაბამისად მოქმედი „ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის" სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ ფიზიკურ პირთა სიაში დამატებული 1 ფიზიკური პირის ქონებას:

პირადი ინფორმაცია (სახელ(ებ)ი, დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება / მოქალაქეობა)	ფსევდონიმ(ებ)ი , ზედმეტსახელ(ებ)ი	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი/შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია

სახელები: 1) ბი სიდი (BI SIDI) 2) სოულემან (SOULEMAN) *წოდება/თან ამდებობა* 3R-ის პრეზიდენტი და თვითგამოცხადებული „გენერალი" (President and self-proclaimed "general" of the Retour, Réclamation et Réhabilitation (3R)) *დაბადების თარიღი:* 1962 წლის 20 ივლისი (26 Jul. 1962); *დაბადების ადგილი:* ბოკარანგა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (Bocaranga, Central African Republic); *მოქალაქეობა* ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (Central African Republic)	ა) სიდიკი (Sidiki); ბ) „გენერალი" სიდიკი („General" Sidiki); გ) სიდიკი აბბას (Sidiki Abbas); დ) სოულეიმანე ბი სიდი (Souleymane Bi Sidi); ე) ბი სიდი სოულემანე (Bi Sidi Soulemane)	სამგზავრო დოკუმენტის ნომერი: №235/MISPAT/DIRCAB/DGPC/DGAEI/SI/SP (გაცემულია 2019 წლის 15 მარტს, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ) (Laissez-passer n.o. №235/MISPAT/DIRCAB/DGPC/DGAEI/SI/SP , issued on 15 Mar. 2019 (issued by the Minister of Interior of the Central African Republic))	კოუი, უამ - პენდეს პრეფექტურა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (Koui, Ouham – pendé prefecture, Central African Republic)	2020 წლის 05 აგვისტო (05 August 2020)	ბი სიდი სოულემანმა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, დაარსა 3R-ს დაჯგუფება, რომლის წევრებმაც დაარსების დღიდან, 2015 წლიდან, დახოცეს, აწამეს, გაუპატიურეს, განდევნეს სამოქალაქო მოსახლეობა და ჩართული იყვნენ იარაღით უკანონო ვაჭრობაში, უკანონო საგადასახდო საქმიანობებსა და საბრძოლო მოქმედებებში სხვა შეიარაღებულ დაჯგუფებებთან ერთად. ბი სიდი სოულემანი თავადაც მონაწილეობდა ნაბუბში. 2019 წლის 06 თებერვალს 3R-მ ხელი მოაწერა პოლიტიკურ შეთანხმებას ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მშვიდობისა და შერიგების შესახებ, თუმცა სისტემატიურად არღვევს შეთანხმების პირობებს და კვლავ წარმოადგენს საფრთხეს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მშვიდობის. სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის. მაგალითისთვის, 2019 წლის 21 მაისს 3R-ს წარმომადგენლებმა მოკლეს 34 სამოქალაქო პირი 3 სოფელში, სიკვდილით დასაჯეს მამაკაცები. ბი სიდი სოულემანმა ღიად დაუდასტურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობას, რომ სოფლებზე თავდასხმის დროს ის აძლევდა ბრძანებებს 3R-ს წევრებს, თუმცა არ დაადასტურა მკვლელობის ბრძანების გაცემა.) (Bi Sidi Souleman leads the Central African Republic (CAR)-based militia group Retour, Réclamation, Réhabilitation (3R) which has killed, tortured, raped, and displaced civilians and engaged in arms trafficking, illegal taxation activities, and warfare with other militias since its creation in 2015. Bi Sidi Souleman himself has also participated in torture. On 6 February 2019, 3R signed the Political Agreement for Peace and Reconciliation in the CAR but has engaged in acts violating the agreement and remains a threat to the peace, stability and security of the CAR. For instance, on 21 May 2019, 3R killed 34 unarmed civilians in

					three villages, summarily executing adult males. Bi Sidi Souleman openly confirmed to a UN Entity that he had ordered 3R elements to the villages on the date of the attacks, but did not admit to giving the orders for 3R to kill.).

3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე და მისი გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების მოქმედებას;

4. ბრძანება განთავსდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ., №7ა) მხარისათვის მისი ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში, ხოლო თუ გადაცემა ვერ ხერხდება, ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

მოსამართლე ლეილა გოგიშვილი